ხელოვანი და ხელოვნების ქმნილება - ფსიქოანალიზში
(ფროიდის „ლეონარდო და ვინჩის“ მიხედვით)

ვალერი ოთხოზორია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ფილოსოფიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფილოსოფია

ხელმძღვანელი - გიორგი მაისურაძე
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2017 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის საგანია *ფროიდის ხელოვნების თეორია.* იგი სამი ნაწილისაგან შედგება: *ხელოვანის* ფსიქოანალიზი; *ხელოვნების ქმნილების* ფსიქოანალიზი; *ხელოვნების* ანალიზი - *კულტურის ფსიქოანალიზის* ფარგლებში. პირველ ორ საკითხს ჩვენ ვიკვლევთ ფროიდის ნაშრომის - „ლეონარდო და ვინჩი და მისი ბავშვობის მოგონება“ (1910), მიხედვით. ამ ნაშრომში ფროიდი აანალიზებს ლეონარდო და ვინჩის, როგორც მხატვარსა და მეცნიერს. აქვე, იგი განიხილავს მის მხატვრობას. ხელოვნების ფსიქოანალიზისთვის, ჩვენ ვეყრდნობით ფროიდის ორ შრომას - „ერთი ილუზიის მომავალი“ (1927) და „კულტურით უკმაყოფილება“ (1930). აქ, ფროიდი ხელოვნებას განიხილავს, როგორც კულტურის პროდუქტს.

კვლევიდან ირკვევა, რომ ფროიდს ხელოვნების ქმნილება აინტერესებს ოიდიპოსის კომპლექსისა და ხელოვანის ბავშვობის ისტორიის თვალსაზრისით. ხელოვანში ის ეძებს მექანიზმს, რომლითაც ფსიქოსექსუალური ენერგიის შემოქმედებით ენერგიად გარდაქმნა მოხერხდა. რაც შეეხება ხელოვნებას, ფროიდი იკვლევს, თუ რას წარმოადგენს იგი რეალობასთან მიმართებით, და რა ფსიქოლოგიურ ფუნქციას ასრულებს კულტურაში, ადამიანისთვის.

ნაშრომის მიზანია ფროიდის ხელოვნების თეორიის ღირსებებისა და ნაკლოვანებების წარმოჩენა.